



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 09

2020 წელი 15 ივლისი

ქ. ბაღდათი

10.300 საათი

2020 წლის 15 ივლისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, მამუკა გორგოძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, მაკა მესხი, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, შადიმან გორგოძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, თემურ მინაძე, რუსუდან გეწაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, გიორგი რობაქიძე, მურად ბურჯანაძე, გაბრიელ ღებრიაძე, შალვა დათუაძე, ზაზა ზივზივაძე.

საკრებულოს წევრები: სულ 21 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: თეონა ფახურიძე, ალექსი ლომინაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, გურამი კიკნაველიძე, ვლადიმერ წიქორიძე, დიმიტრი კიკნაველიძე, ირაკლი გოგსაძე, კობა მშვილდაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა მსხვილიძე – მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

მირიან ფულარიაძე – მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი
საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა, დაესწრო 20 საკრებულოს წევრი. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე 16 ივლისამდე, საკითხი ეხება დამატებითი ინფრასტრუქტურის პროექტების მოწონებას, რომელიც განსახილველად უნდა იქნეს წარდგენილი სამხარეოს საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე. შ. მშვილდაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.
მომხს. კახა მსხვილიძე – მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

2., მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (საძოვარი) პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე)

სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო: კახა მსხვილიძემ- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ დამატებით რეგიონალური განვითარების ფონდიდან შესაძლებელია მოვიპოვოთ დაფინანსება, რისთვისაც სამსახურს დამატებით შემოაქვს სამი პროექტი მოწონებისათვის. როგორც კ. მსხვილიძემ აღნიშნა უახლოეს პერიოდში მხარდაჭერისათვის წარდგენილი უდა იქნეს სამხრეთ საკონსულტაციო საბჭოზე.

კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 /30 15.07.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0;
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 19-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. „მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (სამოვარი) პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

დასკვნა სხდომას გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42/ 31 15.07.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 19-მა წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე